გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


## სამეურნეო საზოგადოებისაგან.

ბ-ნნი წევრნი კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებისანი მიწვეულნი არიან მორიგს კრებაზედ, რომელიც დანიშნულია 6 თებერვალს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ.

კრება განიხილავს:

1) მორიგს საქმეებს;

2) ბ-ნ ერმოლოვის მოხსენებას მიწების იჯარით აღების თაობაზედ სახელმწიფო გლეხთაგან ამიერ-კავკასიაში.

არა-წევრთაც ნება აქვთ დაესწრნენ კრებაზედ.

---

ტფილისი, 4 თებერვალი

წარსულის წლის დამლევს გამოცხადებული იყო, რომ სამოსწავლო მთავრობას განზრახვა აქვს, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, გააუქმოს პარალელი კლასები გიმნაზიებისა. რასაკვირველია, ამ გარემოებამ მიიქცია საზოგადოების ყურადღება, რადგანაც პარალელის კლასების გაუქმების შემდეგ უნდა ეზრუნათ, რომ მოზარდს თაობას საშუალება და გზა ჰქონოდა და სწავლა გაევრძო. აი ამ მიზეზით ამას წინად ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლმა, თ-მა ა. ნიჟარაძემ, მიიწვია თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი მოსალაპარაკებლად მასზე, თუ რა ღონეა საჭირო, რათა თავად-აზნაურობის მოზარდ თაობას, რომელიც ამ ჟამად ადგილობრივს გიმნაზიაში სწავლობს, რამე ეშველოს და პარალელის კლასების გაუქმების შემდეგ არ შეეკრას სწავლა-განათლების გზა.

რაც უნდა იყოს, ეს გარემოება ერთის მხრით მეტად სასიამოვნოა: რაც დღე მიდის, ჩვენი საზოგადოება უფრო ერჩევა იმ აზრს, რომ საჭიროა საკუთარის შვილების ბედზე ზრუნვა, რომ მთავრობას არ შეუძლიან გასწვდეს ყველა საზოგადო მოთხოვნილებათა. საზოგადოება უნდა მოურიგდეს იმ აზრს, რომ იმის ბედნიერებასა და კეთილდღეობაზე მოვალეა იზრუნოს არა მარტო მთავრობამ, არამედ თვითონაც არ უნდა დაიკრიფოს გულზე ხელი და ისე არ შეჰყურებდეს სხვის მოწყალებასა.

რაც დღე მიდის, ჩვენი საზოგადოება რწმუნდება, რომ უსწავლა-ცოდნოდ შეუძლებელია კაცმა რიგიანი მერმისი დაიმკვიდროს. ამასთანავე იმასაც უნდა შეეჩვიოს და, ვგონებთ, კიდევაც ეჩვევა, რომ მოზარდ თაობის აღსაზრდელად საჭიროა საკუთარი ძალღონე, შეძლება და ქონება არ დაიშუროს და რითაც შეეძლება, იმით დაეხმაროს სწავლა-განათლების გავრცელებას.

იმ გარემოებამ, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ, აღძრა ჩვენს საზოგადოებაში საკითხავი: რა ვუყოთ ჩვენს შვილებს, თუ რომ პარალელი კლასები გააუქმესო?

ამ საკითხავმა ქუთაისის თავადაზნაურობაში გამოიწვია ორ ნაირი ლაპარაკი. ჯერ სათავად-აზნაურო სკოლაზე ჩამოვარდა ბაასი და შემდეგ იმაზე, რომ უნდა გადაკეთდეს და გადასხვაფერდეს სათავად-აზნაურო სკოლა თუ არა, და თუ გადაკეთებაა საჭირო, რა ხასიათი უნდა მიეცეს ამ სასწავლებელსაო?

ეს ლაპარაკი იმას გვიჩვენებს, თუ რა ნაირია ჩვენი საზოგადო აზრი სწავლა-განათლებაზე. საქმე ის არის, რომ იგი ბაასი გვიჩვენებს ორს მიმდინარეობას აზრისას სათავად-აზნაურო სკოლის შესახებ. ზოგნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ, პარალელის კლასების შემდეგ, საჭიროა მომეტებული ხარჯი ვიკისროთო, ჩვენი საკუთარი სკოლა უნდა გავაფართოვოთ და გავაუმჯობესოთ და თან მთავრობას უნდა ვსთხოვოთო, რომ ჩვენს სასწავლებელს იგი უფლება მიეცეს, რომელიც მინიჭებული აქვს იმ გვარსავე სახელმწიფო სასწავლებლებს. მეორე აზრი ის იყო, რომ რადგანაც ჩვენი თავად-აზნაურობა მეტად ხელმოკლეა, ამიტომაც საჭიროა ისეთი სასწავლებელი გაიმართოს, რომელიც პრაქტიკულს ცოდნას აძლევდეს მოზარდ თაობას, სათავად-აზნაურო სკოლა უნდა გადაკეთდეს სამეურნეო სკოლადაო. ამ რიგად ჩვენს მოზარდს თაობას საშუალება მიეცემა თავისი სწავლა-ცოდნა იმ ოჯახსა და იმ ორიოდე ქცევა მიწას მოახმაროს, რომელიც მამა-პაპას დაუტოვებიაო. ამ საშუალებით ჩვენ ხელიდგან არ გაუშვებთ მიწას და მიწადმოქმედებას და მაშასადამე დავიცავთ საძირკველს ჩვენის ცხოვრებისასაო.

აი ის ორი აზრი, რომელიც წარმოთქმული იყო ქუთაისის თავად-აზნაურობის წარმომადგენელთა მიერ. ეს ორი აზრი მეტად საგულისხმოა, რადგანაც იმის ნიშანია, რომ ჩვენი საზოგადოება ჰგრძნობს სწავლა-ცოდნის სარგებლობას და იმასაც ჩაჰკვირვებია, თუ რომელი სწავლა-ცოდნაა საჭირო იმისთვის და რომელი შეჰფერის საზოგადოების მდგომარეობას.

ეს საგანი მეტად რთული და ძნელი გადასაწყვეტია, რის გამოისობითაც ქუთაისის თავად-აზნაურები ვერ მორიგდნენ იმის თაობაზე, თუ რა გზას უნდა დასდგომიყვნენ. ამიტომაც ეს საგანი მიენდო ცალკე კომისიას, რომელმაც უნდა გამოიძიოს, თუ რა ღონის-ძიებაა საჭირო, რათა თავად-აზნაურობის ყმაწვილები უსწავლელნი არ დარჩნენ და რაც ღონის-ძიება აქვს თავად-აზნაურობას, შემწეობა აღმოუჩინოს სწავლა-განათლების საქმეს. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ კომისიის მოქმედება დიდხანს გასტანს, თუმცა მაინცა-და-მაინც გაგრძელება საქმისა თვით საქმეს ბევრს ვერაფერს შესწევს. უნდა ვისურვოთ, რომ იმ კომისიას იგივე ბედი არ ეწვიოს, რომელიც ხშირად სწვევია სხვა-და-სხვა დასის სხვა-და-სხვა კომისიებს; თან ისიც უნდა ვისურვოთ, რომ საზოგადოებამ გული არ აიცრუოს იმ რთულს საგანზე, რომელიც ცხოვრებამ და გარემოებამ ხელში მისცა.

ა. ს—ი

---

## ახალი ამბავი

*** 4 თებერვალს გამოვიდა მეხუთე ნომერი გაზეთის «მეურნე»-სი. ამ ნომერში დაბეჭდილია სხვათა შორის წერილი «ვაზის ახალი ჭირი ობი ანუ მილდიუ».

*** 6 თებერვალს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, დანიშნულია კრება ტფილისის სამეურნეო საზოგადოებისა.- კრება განიხილავს, სხვათა შორის, ბ-ნ ერმოლოვის საყურადღებო მოხსენებას: «რა წესით იღებენ იჯარით მამულებს სახელმწიფო'ს გლეხნი ამიერ-კავკასიაში».

*** წევრი არხეოგრაფიის კომისიისა, ბ-ნი კობიაკოვი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანებით, დაუნიშნავთ ამ კომისიის თავ-მჯდომარედ.

*** 1 თებერვალს ვერ შესდგა ტფილისის საბჭოს კრება, რადგან ხმოსანთა მომეტებული ნაწილი სამედიცინო საზოგადოების კრებაზედ დაესწრო.

*** გუშინ-წინ ქართულს თეატრში ქართულის დრამატიულის დასის არტისტებმა ბ-ნ კოტე ყიფიანის მონაწილეობით წარმოადგინეს გრ. სუნდუკიანცის პიესა «დაქცეული ოჯახი». ანსამბლი მშვენიერი იქმნებოდა, ბ-ნს ხუციშვილისათვის რომ არ მიეცათ სასიძოს როლი. მშვენიერება იყო საფაროვი - აბაშიძისა ახალგაზდა ქალის როლში. ხალხი ბევრი არ დაესწრო.

შემდეგისათვის, სამშაბათს, 9 თებერვალს, დანიშნულია ქ. გაბუნია-

---

# ფელეტონი

## დიაბოლინა *)

მოთხრობა

ვიქტორიო ბერსეციოსი

ერთის საათის შემდეგ ალბერტომ გამოუცხადა თომაზოს, რომ ლიზა დავნიშნეო. თომაზოს გულითა და სულით იამა ეს ამბავი. თომაზო გულში სულ იმასა სჩიოდა, რომ ძალიან გააჭიანურეს საქმეო და აქამდე ვერა გადასწყვიტეს-რაო. თავადაც არ იცოდა, რა მიზეზიაო, მაგრამ იმის გამო დიდს შფოთვასა და მოუსვენრობაში იყო.

— შენა, ახლა, — უთხრა თან ხუმრობითა და თან ნამდვილის გულით ალბერტომ თომაზოსა: — შენ როდისღა დაიჯერებ დიაბოლინას, რომ გული მოიბრუნოს შენზედ და შეგიყვაროს.

თომაზომ ამოიოხრა.

— ნუ მეტყვი მაგას — უპასუხა თომაზომ გულ-დაწყვეტითა, — თავის დღეში არ მოხდება ეგა.

— წარმოიდგინე, რომ არც არას დაჰკარგავ, — სიცილით უთხრა ალბერტომ. — ეგ ქალი მეტის-მეტი გულქვავი რამ უნდა იყოს.

თომაზომ იტკიცა, ისე ეწყინა ეს სიტყვა.

— აბა, მაგას რას ამბობ? იმაზე დიდ-სულოვანი, იმაზე გულ-კეთილი იშვიათად იქნება დედამიწის ზურგზე. მართალია, უცნაურისა და დაუდგრომელის ხასიათების გამო, მკვირცხლის ბუნებისათვის, ყმაწვილობაში მეტ სახელად დიაბოლინა დაარქვეს, მაგრამ სამაგიეროდ დღეს ყველა ახლომახლო სოფლელები თავის მფარველ ანგელოზს ეძახიან.

დიაბოლინას ქებამ გააჯავრა თითქო ალბერტო.

— ჯერ გენიოსად დაჰსახე ხომ, — დაცინვით სთქვა ყმაწვილმა კაცმა, — და აბა ახლა წმინდანი და წამებულიც გამოიყვანე. იმას მაინც ნუ უარ-ჰყოფ, რომ თუმცა სიკეთით სავსეა, მაინც ბიძაშვილის შური...

— არა, არა და ათასჯერ არა! — დიდის სიმტკიცითა სთქვა გულ-კეთილმა თომაზომ. — ათასი მაგალითი ვიცი, რომ შური შორს არის დიაბოლინაზე. ტილდას ზრუნვა მხოლოდ ის არის, რომ გაამშვენიეროს ლიზა, ხელი შეუწყოს. დიაბოლინა ჰზრუნავს იმის ჩაცმა-დახურვისათვის, უვარცხნის თმას, დიდის მოთმინებით ასწავლის მუსიკას, ახალს აზრებს აგონებს და ისეთს სიტყვებსაც-კი ეუბნება, რომ ლაპარაკში გამოიყენოს და უფრო ჭკვიანი, უფრო ნასწავლი გამოჩნდეს.

— ნუ თუ მართალს ამბობ? შენ, მგონია, დამცინი და მასხარად მიგდებ!

თომაზო ჰხედავდა, რომ ჩემი სათაყვანებელი ადამიანი ვერ გაუცვნია რიგიანად ჩემს მეგობარსაო და სცხარობდა, წინაალმდეგობდა, უფრო აზვიადებდა იმის ღირსებასა, მოჰყავდა საბუთები. იმის მეგობარს ცნობისმოყვარეობა უფრო გაუძლიერდა: უნდოდა გაეცნო როგორმე დაახლოვებით ის უცნაური ქალი, რომელიც ასე იმალებოდა და იჩქმალებოდა, თითქო განგებ ამოჰფარებია ფარდას, არავინ დამინახოსო!

ეს საღამო ნამდვილი დღესასწაული იყო სინიორ პასკვალეს ოჯახისათვის. მეზობლებსა, მეგობრებსა და ნაცნობებს ბარათები მისწერეს და შეატყობინეს, რომ ლიზა დაენიშნეთო. კეთილმა მოხუცებულმა არა ერთი და ორი ბოთლი თავი ღვინო ამოატანინა სარდაფიდამ. ტილდა ხომ იჯდა და დაუღალავად უკრავდა ფორტეპიანოს, ვიდრე სტუმრები ცეკვავდნენ და თამაშობდნენ. თომაზომაც მოიტანა თავისი ფლეიტა და რამდენჯერმე დაუკრა; დიაბოლინამ ფორტეპიანო ააყოლა ზედა.

იმ დღეს ძალიან მხიარულად იყო დიაბოლინა. ალბერტომ შენიშნა, რომ ეს ქალი სრულიად გამოიცვალა, გულ-გრილად აღარ ექცეოდა და უფრო დაუშინაურდა. კაცს ეგონებოდა, რომ მიხვდა უთუოდ, რა ცუდად იმოქმედა ალბერტოზე იმისმა წინანდელმა ქცევამაო და ახლა უნდა მოიგოს იმისი გულიო.

ალბერტო მივიდა დიაბოლინასთან, როცა თომაზო თავის ფლეიტას ბუდეში სდებდა.

— თქვენ დიდი ხელოვნებით აყოლებდით ფორტეპიანოს ფლეიტაზე. სწორედ ტყუილად არ მიქებდა თომაზო თქვენს არტისტობას. ნეტავ მაღირსებდეთ და რომელსამე გამოჩენილს პიესას დაუკრავდეთ.

— ო, — ღიმილით უპასუხა დიაბოლინამ და უგულოდ დაუწყო შლა ნოტებს: დიდი პიესები მალე მოსწყინდებათ ხოლმე მსმენელთ. მაგ ნაირს პიესებს მხოლოდ ჩემთვის დავუკრავ ხოლმე.

— ეგ ხომ თქვენს თავ-მოყვარელობა'ს ამტკიცებს.

დიაბოლინა სწრაფად წამოდგა ფეხზე, თვალი გაუმართა ალბერტოს და ხუმრობით უთხრა:

— თუნდ მაგრეც იყოს, რაო მერე? აი თქვენ მიჩვენეთ კარგი მაგალითი და დაუკარით რამე. დღეს თქვენ უფრო კარგს გუნებაზედ უნდა ბრძანდებოდეთ, ვიდრე მე.

ალბერტოს მოეჩვენა, რომ მგონი დამცინის ეს ქალიო.

— სწორედ მართალს ბრძანებთ, — გულ-ცივად სთქვა ახალმა დანიშნულმა. მართალია... მე მაინც განა ზება არ მიყვარს.

ალბერტომ გაასწორა სკამი, ჩამოჯდა და ფორტეპიანომ ზანზარი დაიწყო, შეეხო თუ არა იმისი ათრთოლებული ხელი. გრიგალიანსა და შფოთიანს ხმებს მალე მოჰყვა ტკბილი ხმები, რომელიც ჯერ ცოტა სუსტად, ნაზად ისმოდა და მერე-კი თან-და-თან ცხადად და სასიამოვნოდ გამოირკვა.

ალბერტომ აიხედა მაღლა და დაინახა, რომ ტილდა იმას შესცქეროდა. ტილდას იდაყვი სტოლზე დაეყრდნო და ისეთის ეშხითა და შნოებით იჯდა. რომ ძველ ბერძენთ ქანდაკება გეგო-

*) იხ. „ივერია“ №№ 19, 20 და 25.

ცაგარლის ბენეფისი. უნდა წარმოადგინონ «ქარაფშუტა» და «ბაიყუში».

*** საჭილაოდგან (სენაკის მაზრა): შარშან «ივერიაში» მოხსენებული იყო, რომ აქაურმა აზნაურებმა განიზრახეს შემწეობის აღმოჩენა ადგილობრივის სასოფლო სკოლისათვის, რომელიც ჯერ-ჯერობით მოთავსებულია სასოფლო კანცელარიაში, ცალკე ოთახში. იმათ გაიწერეს ფული სკოლის შენობის სასარგებლოდ, მაგრამ დღემდის ორიოდე კაცის გარდა, გაწერილი, ხვედრი ფული ვერ გამოუმეტებიათ. რამდენადაც ადვილი ყოფილა შეპირება და ხელის მოწერა სიაზე, იმდენად ძნელი ყოფილა სამიოდე მანათის ამოღება ჯიბიდგან. მაინც-და-მაინც ჯერ-ჯერობით იმედს არა ვკარგავთ, რომ აქაური აზნაურები როდისმე შემოიტანენ ხვედრს, შეპირებულს ფულს, მაგრამ საქმე ის არის, რომ სკოლას ეხლავე დახმარება ესაჭიროება.

ილორიის ეკკლესიის მღვდელი, მ. ივანე გრიგოლია, ჰმართავს სამრევლო სკოლას. ამ სკოლის სასარგებლოდაც აქაურმა საზოგადოებამ გაიწერა შესაწირავი ფული; ამ ფულის მოკრება მინდობილი აქვს აქაურს დიაკვანს, თომა დუნდუას, რომელიც, მართალი უნდა ესთქვათ, დიდის გულმოდგინებით მოეკიდა ამ საქმეს.

*** მარტყოფიდგან გვწერენ, რომ ჩვენში ამ უკანასკნელს დროს ძალიან გავრცელებულია ქურდობა და ავ-კაცობაო. 25 დეკემბერს ერთი ვიღაც ქალაქელი, რომელიც აქ იმყოფება, ერთს მარტყოფელს მიეარდნია სახლში ამხანაგ კინტოებითურთ. ამათ კინაღამ მოუკლავთ ძმა სახლის პატრონისა, რომელსაც გვერდში ხანჯლით დაუჭრია მიხეილ ფურცელაძე. რამდენისამე დღის შემდეგ, 29 დეკემბერს, აქაურს მცხოვრებელს, ამირან ჩიტრეკაშვილს, დაუწვეს ათი ურემი თივა.

მარტყოფელები ემდურებიან თავიანთ სოფლის მოხელეებს, რომლებიც ძალიან გულ-გრილად ეკიდებიან სასოფლო საქმეებს. მარტყოფსა აქვს საძოვარი მინდორი, რომელსაც ყოველ წლივ შემოაქვს არა ნაკლებ ასის თუმნისა. ამ ას თუმანს რამდენისამე წლის განმავალობაში ანდომებდნენ იმ დავას, რომელიც მარტყოფელებსა და თქლალებს შუა ჩამოვარდა იმავ მინდვრის თაობაზე და ეხლა-კი, როცა დავასა და საჩივარს ბოლო მოეღო, აღარ ვიცით, თუ რა საჭიროებისათვის იხარჯება ის ასი თუმანი შემოსავალი, რომელსაც იძლევა ხსენებული მინდორი-საბალახო.

შარშან სოფელმა გაიწერა ორასი თუმანი ფული გზის გასაკეთებლად, მაგრამ ფულის მოკრება ძალიან დაგვიანდა, და ამიტომაც მთავრობამ ფულის მოკრებას არ მოუცადა, გამოიწვია ხალხი და გზა კიდეც გააკეთებინა. ფული მაინც იკრიბებოდა და კიდევაც მოაგროვეს, მაგრამ არ ვიცით, რას უნდა მოახმარონ, ან-და სად არის და რამდენია.

*** მზრუნველი საერო განათლებისა კავკასიაში, ბ-ნი იანოვსკი, როგორც ამბობს გაზ. «კავკაზი», იმერეთს წასულა სკოლების დასათვალიერებლად.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, 9 თებერვალს «ტფილისის კრუჟოკში» გამართული იქმნება რუსულად კონცერტი და წარმოდგენა ცხოველ სურათებით. შემოსავალი დანიშნულია იმ თავ-შესაფარის სასარგებლოდ, რომელიც უნდათ ააშენონ ტფილისში ციმბირში გაგზავნილების მცირეწლოვან შვილებისათვის.

*** „კავკაზსვე" სწერენ გორიდამ, რომ ორთქლის მატარებელმა 25 იანვარს გასჭყლიტა გლეხი გიგო დუდაშვილიო.

*** 3 თებერვალს პოლიციის მე-9 ნაწილში, ვარდანოვის საჭმელების დუქანში, სპარსეთის ქვეშევრდომს მეთულუხს აკოფუსუფ-ოღლის ჩხუბი მოუვიდა სპარსეთისავე ქვეშევრდომ მეთულუხ ნაზარ-ჩაბან-ოღლისთან და დანით დასჭრა გვერდსა და ზურგში. დაჭრილი სამკურნალოში გარდაიცვალა. დამჭრელი სადღაც მიიმალა და ჯერ ვერ უპოვნიათ. გამოძიება სწარმოებს.

*** 3 თებერვალსავე 1 განყოფილებაში, მოსკოვის ქუჩაზედ და სტაშევის სახლებში, რეალურ სასწავლებლის მოსწავლემ, ნადვორნი სოვეტნიკის მიხეილ ვორონოვის შვილმა, 14 წლისამ, თავის მოკვლა მოიწადინა და ამ განზრახვით ფირდში დამბაჩა იკრა. ვორონოვი გაგზავნილ იქმნა სამკურნალოში.

<>

## Средній акцизъ-ი ტფილისში

მოგეხსენებათ, რომ სასტუმროებისა და რესტორან-ტრაქტირების პატრონებს ვალად აძევთ პატენტის გარდასახადს გარდა, რომელიც ხაზინის სასარგებლოდ მიდის, იხადონ ქალაქის სასარგებლოდაც გგრედ წოდებული «საშუალო ბაჟი», ან რუსულად «средній акцизъ»-ი, რომელსაც ადგილის მდებარეობისა და მუშტრის სიმრავლისდა გვარად იხდიან მეტ-ნაკლებობით ყველანი, ისე-კი, რომ ორთა-შუა რიცხვით თითოზე ას-ასი მანეთი გამოვიდეს. რომ გაწერა სინიდისიანი იყოს, ამიტომ ურთიერთ შორის სასტუმრო-რესტორანებისა და ტრაქტირების პატრონები აირჩევენ დეპუტატებს და ფიცის შემდეგ მიანდობენ ხოლმე, სინიდისით შეაწერონ ყველას გარდასახადი ქალაქის სასარგებლოდ. თვითონ ამ დეპუტატებს-კი დეპუტატობით არავითარი უპირატესობა არა აქვთ თავიანთ ამომრჩეველების წინაშე. თითონაც ისე უნდა შეაწერონ თავიანთ თავს გარდასახადი, როგორც სხვებს, ვაჭრობისა და სავაჭრო ადგილის მიხედვით.

ეს თუმცა ასე უნდა იყოს, მაგრამ საქმით-კი ა რა გამოვიდა წელსა: დეპუტატები ისე მოიქცნენ, რომ ამომრჩევლების სადაზარალოდ გახდნენ. საითაც მიიხედავთ, ემდურებიან და ამას ამბობენ: დეპუტატებს თავიანთ თავისთვის ცოტა შეუწერიათ და თავიანთ ამომრჩევლებისათვის-კი უსამართლოდ წაუწარბიათო. ამის საბუთად მომდურავთ აი რა მოჰყავთ: ასახელებენ დეპუტატს, იმის სავაჭრო დაწესებულების ადგილ-მდებარეობას და ამ დეპუტატს გვერდით უყენებენ არა-დეპუტატს. ამ სახით ადარებენ, რას იხდის ან ერთი და ან მეორე. მაგალითებრ:

1) ბატონი ს—ე ჯ—ი, თავმჯდომარე დეპუტატებისა, რესტორან «კოლხიდის» პატრონი, რომელიც ვაჭრობს საუკეთესო ადგილზე (ბულვარი, სახლი სარაჯოვისა) და აქვს გასაქირავებელი ოთახები. ამას შეწერილი აქვს 50 მან., მაშინ როცა მ—ლ წ—ესაც, რომელსაც არც ოთახები აქვს, არც სასმელების ბუფეტი და ჭუდის მარტო ჩაის და ჭადრობს მივარდნილ ადგილს (სასპიოვების ქუჩა), ხუთი თუმანი აქვს შეწერილი.

2) ბატონი ს—ი დ—ვი, ამორჩეული დეპუტატი, პატრონი რესტორანისა და ათის გასაქირავებელის ოთახისა საუკეთესო ადგილას (ბულვარი, თავად მუხრანსკის სახლი). შეწერილი აქვს 70 მან., და გ—ო ქ—ესკი, რომელსაც არც ოთახები აქვს, არც ისეთი ვაჭრობა, როგორც დიდზურაბოვს, და ადგილიც უარესი უჭირავს («ხან-მარში», ლორის-მელიქოვის ქუჩა), შეაწერეს 120 მანათი.

3) ტფილისის «კრუჟოკის» ბუფეტის პატრონი, ბატონი ზ—ია თ—ძე, ესეც დეპუტატი გახლავთ და შეწერილი აქვს 180 მანათი. ტფილისის «სობრანიის» ბუფეტის პატრონს-კი, რომელსაც ერთი ხუთად მაინც ნაკლები ვაჭრობა აქვს, ვიდრე «კრუჟოკის» ბუფეტის პატრონსა, შეაწერეს 300 მანათი. «კრუჟოკის» ვაჭრობა «სობრანიისას» ბევრად სჯობნის, ეს იქიდგანაც სჩანს, რომ ბ-ნმა თ—ძემ «კრუჟოკის» უფროსებს თხოვნა მისცა, თქვენი შემწეობა და შველა არ მინდა, ოღონდ-კი კვლავაც მე მქონდეს და მე ვაჭრობდე «კრუჟოკის» ბუფეტშიო. აი კიდევ მეორე საბუთიცა. დღევანდელი ამხანაგი ბატონის თ—ძისა, «მათვეი იაგორიჩი», შარშან «სობრანიის» ბუფეტის პატრონი იყო და იხდიდა არა 300 მან., არამედ 195 მანათსა. წელს «სობრანიის» ბუფეტის პატრონი სხვაა და 300 მან. აქვს შეწერილი.

აბა, რასა ჰგავს ესაო? ამბობენ ამომრჩევლები. ნუ თუ «სობრანიის» ვაჭრობამ სხვის ხელში ერთი ორად იმატა, რომ ერთი ორად შეაწერეს საშუალო ბაჟის გარდასახადიო? რით ... ბ-ნ დ—ოვის ვაჭრობამ შარშანდელთან შედარებით, რომ შარშან იხდიდა 130 მან. და წელს-კი მხოლოდ 70 მან. აქვს შეწერილიო, ანუ რით იმატა «ხანმარშის» ვაჭრობამ, მაგალითად, წელს, რომ შარშან იხდიდა 100 მან. და წელს-კი 120 შეაწერესო? ან კიდევ რა იმატა «ვაგზლის» ბუფეტმა შარშანს აქეთ, რომ შარშან იხდიდა 195 მან., წელს-კი 275 შეაწერესო? ნუ თუ ბატონ ს—ე ჯ—ლის, დეპუტატების თავმჯდომარის, ვაჭრობა და იმის რესტორანის ადგილ-მდებარეობა დაუვარდება, გსთქვათ, თუნდა ა—ტ ლ—ის ვაჭრობასა და მის რესტორანის ადგილ-მდებარეობას, რომ ჯ—ლისათვის ბატონ დეპუტატებს 50 მან. შეუწერიათ და ლ—ისათვის-კი (ლორის-მელიქოვის ქუჩაზე) 130 მანეთი? ... აი ამებს ლაპარაკობენ, ამის მითქმა-მოთქმაში არიან დღეს ამომრჩევლები. მართალია ესა თუ ტყუილი, ჩვენ ამის გამოძიებაში არ შევალთ, მხოლოდ ჩვენს გვგონია, რომ დეპუტატთა ღირსება მოითხოვს, თავის ამომრჩევლებს ყველა ამაში ანგარიში მისცენ და სახელგასატეხს მითქმა-მოთქმას ბოლო მოუღონ. ან თუ მართლა ამ საქმეში უსამართლობა რამ არის, გასწორდეს, რომ მაზზე აღარ იყოს, ილაპარაკონ: დეპუტატებს ეხლავეით სულ თავისავე უთქლიათ და ერთმანერთისათვის მიუთ...ნიათო.

ა. ქიოთ

<>

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ლეჩხუმის მაზრა.** ამას წინა... ვაცნობე «ივერიის» მკითხველებს...

---

ნებოდათ. ყმაწვილი ქალი მშვენივრად იყო გამოტანადებული ნაცრის-ფერ სადა კაბაში. სინათლე ზემოდამ ჩამოდიოდა და დაეჩრდილებინა მისი თვალები; ხუჭუჭი თმები ასწეწოდა და პოეტურად ჩამოსცვივნოდა შუბლზე; თვალებიდამ ნაპერწკლები სცვივოდა. ალბერტოს მოეჩვენა, რომ იმის თვალებში დაცინვა და ზიზღი იხატებაო, იმისი ღიმილი ჩემი მასხარად აგდების ღიმილიაო. ამის გამო გული დაეწვა, დაეთუთქა არტისტსა. ფორტეპიანო მსწრაფლ გაცხოველდა, ქარტეხილივით დაიგრიალა, თითქო ზათქი და ზარი განხდაო, მერე უცბად ხმა განაზდა და მოისმა ნელი, ტკბილი გალობა ნეტარებისა. ალბერტოს თვალები კვლავ მოხვდა ტილდას შავს თვალებს, მაგრამ როგორ გამოცვლილიყო ეს თვალები! დაცინვის ნიშან-წყალიც-კი გამქრალიყო; იმის მაგიერ აღტაცება გამეფებულიყო; ქალი შეეპყრო იმავე გრძნობას, რაც ასულდგმულებდა ამ დროს თვით ხელოვანს ალბერტოს. მუსიკამ უფრო მეტად მოჰხიბლა და დაატყვევა ტილდა. ქალი ოდნავ გადახრილიყო ალბერტოსაკენ, იჯდა უძრავად და გაჩუმებული, გაოგნებული სტკბებოდა მუსიკის სმენით. მხოლოდ ერთმა სულიერმა შენიშნა, რა იხატებოდა ტილდასა და ალბერტოს სახეზე. ეს სულიერი სინიორა ვერონიკა იყო.

როცა დაიგრიალა სტუმრების ტაშმა მოწონებისა და ქების ნიშნადა, ტილდა წამოდგა და გაუწოდა ალბერტოს ხელი, თითქო ამით უნდოდა ეთქვა, მუსიკაში შენ ჩემი სწორი ყოფილხარო. ამ დროს გაჩნდა სინიორა ვერონიკა და ჩასდგა მათ შუა:

— კეთილო სინიორ ალბერტო, — დაიწყო ვერონიკამ, — ყოველთვის როცა მე თქვენს მუსიკას მოვისმენ ხოლმე, მგონია, რომ უკეთესად შეუძლებელი-ღაა მუსიკის დაკვრა, მაგრამ თქვენ მაინც კიდევ უფრო უკეთესად დაუკრავთ ხოლმე.

ალბერტომ თავი დაუკრა ქებისათვის და უნდოდა ტილდასთან მისულიყო, მაგრამ იმისმა მამიდამ ხელი გაუკეთა და სხვა მხრისკენ გაიტაცა.

— ლამაზნი და კეკლუცნი ქალნი ტაშს გიკრავენ და გიწონებენ მუსიკას, სინიორ ალბერტო. წამობრძანდით და დასტკბით იმათის ცქერით, უფრო-კი ლიზას ცქერითა... მერე მხარ-უკუღმა გადაჰხედა ტილდას, რომელიც ისევ ხელ-გამოწოდებული იდგა, და განაგრძო ძალ-დატანებულის სიწყნარით:

— შენ-კი, დიაბოლინა, ნუ გავიწყდება, ჩვეულებისამებრ, შენი მოვალეობა, წადი და მიეშველე მოხუცს მენიკეს და ემსახურე სტუმრებსა.

დიაბოლინა გაფითრდა, მაგრამ პასუხი-კი არ გასცა. ტუჩებზედ ამაყი, თავ-მომწონე მეტყველება დაეტყო; გრძელმა წამწმებმა დაჰფარა ცეცხლ მფრქვეველი თვალები.

დიაბოლინამ გაკმინდა ხმა და წყნარად გავიდა სახლიდამ.

— კეთილი ქალი-კია დიაბოლინა—სთქვა სინიორა ვერონიკამ, როცა ალბერტო ლიზასთან წაიყვანა, — მაგრამ უბედურება ის არის, რომ მუდამ იქ უნდა წაეტმასნოს, საცა მაგისი საქმე არ არის. სრულიად ავიწყდება, რომ ამ ოჯახში ბევრი-ბევრი მოსამსახურეზედ ცოტათი მეტი იყოს.

IV

როცა აივანზედ გავიდნენ, ალბერტომ უთხრა ვერონიკას:

— თუ ნებას მიბოძებთ, მე მირჩევნია ცოტას ხანს ბაღში გავისეირნო თომაზოსთან. მუსიკამ ეშხში შემიყვანა და ახლა თავი მაქვს გახურებული, სული მიწუხს. ღამის ნიავი გამაგრილებს. მერე შეჰხედეთ, აბა, რა მშვენიერი მთვარეა!..

— მართლა, რამ გადამავიწყა— სიცილით უპასუხა ვერონიკამ, — ტრფიალნი ხომ უმთვაროდ ვერ გასძლებენ. მაშ მიბრძანდით, მიბრძანდით.

ალბერტო და თომაზო გავიდნენ სოფლის დიდს გზაზე და პატარა ხანს უკან ერთს ვიწრო ბილიკისკენ შეუხვიეს. გადავიდნენ რუს, გასცდნენ სოფელს, თომაზოს სახლს და სინიორ პასკვალეს სახლს იქით გაუხვიეს. პასკვალეს სახლის ფანჯრები მიხურულები იყო და ზედ მთვარის შუქი დაჰნათოდა. მხოლოდ ერთი ფანჯარა იყო ღია და შავად იცქირებოდა მთვარესაგან განათებულის სახლიდამ.

თომაზო შეჩერდა, ამოიოხრა და გაიხედა ამ სახლისაკენ. მას შემდეგ, რაც მეგობარნი სინიორა ვერონიკას მოშორდნენ, ჯერ ხმა არ ამოეღოთ და ფიქრში იყვნენ გართულნი. თომაზოს ამოოხვრამ ფიქრის მორევიდამ გამოიყვანა ალბერტოც. ახლა ესეც გაჩერდა და შენიშნა, საით შეიხედა მისმა მეგობარმა.

— ვხედავ, მეგობარო—სთქვა ალბერტომ,—მივხვდი, რომ ეგ ფანჯარა სინიორინა ტილდას ოთახის ფანჯარა უნდა იყოს.

— სწორედ ის არის, — უპასუხა თომაზომ.

— სანაძლეოს და ვსდებ, რომ ყოველს საღამოს მოდიხარ აქა და სუბუქ ნიავს აბარებ, მიიტანე ჩემნი ოხვრანი იმასთანაო.

— არა, არა,—უპასუხა გულ-მართალმა თომაზომ. წინად სწორედ აგრე ვიქცეოდით, მაგრამ მისაყვედურა: სასაცილოა შენი საქციელიო... მასუკან მე აქ აღარ მოვსულვარ.

— მეტის-მეტად წარბ-შეკრული ... ულმობელი ქალია.

— ტილდამ მითხრა, რომ ერთა... ერთი დრო ეგ დროა, როცა მე ჩემ... თვის ვერთობიო, მუსიკას ვუკრავ... ვმღერი, ვოცნებობო... ო, სწორე... მაშინ არის მოსასმენი მაგისი მუსი... როცა ჰგონია, რომ არავინ არ ... მენსო. მაგრამ ტილდა ამბობს, რო... მე ძალიან მეწყინება, თუ ვინმე მ... შინ მიყურყურებს, როცა მე ჩემ... თავი მარტოდ-მარტო მგონიაო.

ამ დროს ვიღაც ქალი გამოჩნდ... მკრთალად მთვარის შუქზედ ფანჯრი... სიბნელეში. ამ ქალმა ალბად მალ... შენიშნა თომაზო და ალბერტო, რა... დგან მაშინათვე მოშორდა ფანჯარა... და გაქრა ოთახის სიბნელეში.

— წავიდეთ, წავიდეთ, —აჩქარებდ... წაჩურჩულა თომაზომ ნელის ხმი... თავის ამხანაგს. —დიაბოლინამ ... გვინახა; ეწყინება, აქ რომ დავრჩე...

— შენ ამბობ, რომ ღამ-ღამეობი... უფრო კარგად მღერის და უკრავს მ... სიკასა, როცა მარტოდ-მარტოაო... არა?

— დიაღ.

— მე-კი არც ერთხელ არ გა... გონია... ნეტავ ერთხელ მაინც გ... მაგონა!..

— რა-კი ეგრე ნატრობ, მაშ მ... მოგიხერხებ; ჩავიდეთ აიმ რუსკენ ... იქ ამოვეფაროთ ხეებსა. ის ჩვენ ვე...

რომ ჩვენის მაზრის ერთ კლასიან სკოლის შენობის შეკეთება აიღო ვაჭრობით ლაილაშელმა ვაჭარმა ბერუჩოვმა. ეს უკანასკნელი უკვე შეუდგა შენობის შეკეთებას, მუშაობას აუჩქარა, ასე რომ შენობა მოკლეს დროში სრულებით მზად იქნება, და აქაურ მოზარდ თაობას ელირსება რიგიანად მოწყობილი სასკოლო სახლი. ამასთან უნდა მოვიხსენიოთ ის სასიამოვნო ამბავიც, რომ ამ სკოლის საქმე წარმატების გზას ადგება, ეხლა სკოლას დაუნიშნეს ახალი მასწავლებელი, ბ-ნი ვლადიმერ ჩაგანავა. ბ-ნი ჩაგანავა უკვე მოვიდა თავის ადგილზედ და, მართალი უნდა ვსთქვათ, დიდის გულ-მოდგინებით მოჰკიდა ხელი თავის საქმეს, ასე რომ სკოლაში მოსწავლეთა რიცხვმა ერთი ორად იმატა. ამ ჟამად სამოც-და-ხუთამდის მოსწავლეა სკოლაში. რიცხვი სწავლის მსურველთა კიდევ იმდენია, რომ სამწუხაროდ სკოლაში ადგილი აღარ არის. ეხლა-კი დროა და შესაძლებელიც არის, რომ გამართონ ხსენებულს სკოლაში მეორე კლასი და ამ ნაირად მიეცეს საშუალება აქაურს მოზარდ თაობას პირველ დაწყებითი სწავლა მაინც დაამთავროს. ამ საგანზე აქაურმა საზოგადოებამ რამდენჯერმე მიჰმართა თხოვნით ბ-ნს გუბერნატორს, რომელიც იმედია იშუამდგომლებს, საცა ჯერ არს, რომ ეს კანონიერი მოთხოვნილება ჩვენის საზოგადოებისა დაკმაყოფილებული იქმნას. ჩვენის აზრით, არც ის იქნება მეტი, რომ ჩვენმა აზნაურობამ ამ საგნის შესახებ პირდაპირ სამასწავლებლო მთავრობას მიჰმართოს თხოვნით. ერთის სიტყვით, საჭიროა უფრო გულ-მხურვალედ და ბეჯითად მოვკიდოთ ხელი ამ სკოლის საქმეს.

ჩვენის მაზრის სამხედრო ბეგარის კომისიამ უკვე გაათავა მორიგის ჯარის კაცების გაწვევის საქმე, და ამიტომ ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ იმაზედ, თუ როგორ მიჰყავდა ეს ახალი საქმე ხსენებულს კომისიას. მართალი უნდა ვსთქვათ, მთელს მათს მოქმედებაში დასაწუნს და კანონის წინააღმდეგს ვერას შეჰნიშნავდა კაცი. მეტად სინიდისიერად და კანონის თანახმად მიჰყავდათ საქმე.

ჩვენის მაზრის მემამულეთა უკვე წარადგინეს მაზრის სამმართველოში მათდამი კუთვნილის ადგილ-მამულის ზომის აღრიცხვა; რასაკვირველია, არ შეიძლება ითქვას, რომ ეს წარდგენილი აღრიცხვა უმეტ-ნაკლებო გამოდგება.

ამას წინად კრება ჰქონდათ ქალაქს ქუთაისში ქუთაისის გუბერნიის მაზრების წინამძღოლთ და იმათ კიდეც გაუწერიათ თავად-აზნაურობაზედ გარდასახადი ფული. ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთ შეჰხვედრიათ ოთხი ათას მანათამდის და ეს ფულები კიდეც გაუწერია აზნაურობაზედ კანდიდატს აქაურის აზნაურობის წინამძღოლისას, თ. ახვლედიანს. ეს ფულები შეტანილ უნდა იქნას ადგილობრივ მაზრის სამმართველოში.

ქაიხოსრო გელოვანი

## რუსეთი

— მოსკოვისა და პეტერბურგის გაზეთებში, რომელიც დღეს მივიღეთ, ზოგან სრულად და ზოგან მცირეოდენის შემოკლებით არის დაბეჭდილი თ. ბისმარკის სიტყვა, რომელიც კანცლერმა წარმოსთქვა რეიხსტაგში.

— რუსეთის სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოებას განზრახვა აქვს ამ ახლო ხანში, კვირა დღეს, საზოგადო კრება დაჰნიშნოს და ეს კრება ინგლისის პოეტის ბაირონის სახელსა და ხსენებას უძღვნას.

— 27 იანვარს პროფესორს პეტრის წაუკითხავს საჯარო ლექცია აზიაზე შემდეგის პროგრამითა: გეოგრაფიული გამოკვლევა აზიისა. — აზია გეოგრაფიულად. — რა უნდა ჰქონდეს საგნად აზიის გამოკვლევას? — ცნობანი ძველთა დროთა აზიაზედ. — როდის უფრო ბევრი რამ შეიტყეს აზიაზედ. — ეხლანდელნი გამოკვლევანი აზიისა. — ევროპიელთა უფლება და მფლობელობა აზიაში. — რა მნიშვნელობა აქვს აზიას კაცობრიობის წარმატებაში?

— ზოგიერთ სამრევლო სკოლაში განზრახვა აქვთ სცადონ და ხელობა ასწავლონ შეგირდებს: ქალებს — ხელ-საქმე და ვაჟებს — რომელიმე ხელოსნობა.

## უცხოეთი

გერმანია. გაზეთი «New York Nerald»-ი ამბობს: თავად ბისმარკს ჯერ თავისი სიტყვა არ წარმოეთქვა რეიხსტაგში, რომ ასე უთხრა ერთს უცხოელს დიპლომატსაო: «არ ვიცი, ღვთის წინაშე, რა ვუყო რეიხსტაგს; თუ დავამშვიდებ და ვეტყვი, რომ წელს ომისა ნუ გეფიქრება-მეთქი, მთავრობის მოწინააღმდეგე დასი მაშინვე სამხედრო ბიუჯეტს დაიჭერს ხელზე და დაიწყებს მახილს, რომ უნდა შემცირდეს და არა გაემატოს სამხედრო ხარჯსაო. ხოლო თუ ვეტყვი, ომი მოგველის და ფხიზლად უნდა ვიყვნეთ-მეთქი, საფრანგეთი და რუსეთი მიწყენს და ავსტრია ხომ ყალხზე შესდგება და გული ყელში მოებჯინება. მე ვგონებდი, რომ ეს ომი 1892 წელზე ადრე არ უნდა მომხდარიყო».

— რათა ჰგონებდით, რომ სწორედ მაგ წელიწადზე ადრე არ უნდა მომხდარიყო ომი? — შეეკითხა დიპლომატი ბისმარკს.

იმპერიის კანცლერმა თურმე ასე უპასუხა:

— «რუსეთი ჯერ მზად არ არის; არც საფრანგეთია მზადა, რადგან ახალის თოფებისათვის ჯერ საკმაოდ არა აქვს ტყვია-წამალი; ავსტრიაც არ არის ჯერ მზადა. რაიცა შეეხება გერმანიას, ვერ ვიტყვი, მზად არის თუ არა. ესკი უნდა ვსთქვა, რომ ყოველს შემთხვევაში, ოთხი-ხუთი წელიწადი მაინც უნდა გავიდეს, ვიდრე რომელიმე დიდი სახელმწიფო გერმანია ნამდვილად მზად იქმნება საომრად. მანამდე-კი არა მგონია, რომ ომი ასტყდეს. ამასაც მოგახსენებთ, რომ თუმცა წინა-უკმო მითქმა-მოთქმა ათასია, რუსეთის ხელმწიფე იმპერატორს ომი არა სწადიან; არა სწადიან ომი არც იმპერატორს ვილჰელმს; ავსტრიასაც არ ერჩის გული ომისათვის, თუ რამდენსამე მსდიარს მხედველობაში არ მივიღებთ; არც საფრანგეთსა სწადიან ომი, ხოლო მე მაგას კიდეც».

— მაშ მაგასვე ბრძანებთ რეიხსტაგშიაც?

— არა, მე უფრო იმას მივაქცევ რეიხსტაგის ყურადღებას, რომ თუ გერმანიას უნდა თავის სახელი და არსებობა დაიცვას, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, წინანდებურადვე მაინც ძლიერი უნდა იყოს მხედრობით. ომის თავიდამ აცილება მხოლოდ იმ დრომდეა შესაძლებელი, ვიდრე გერმანია სრულიად მზად იქნება ომისათვის. მცირეოდენი დასუსტება იმისი და ომის ატეხა ერთი იქნება.

გაზეთები გერმანიისა, ავსტრი-ვენგრიისა, საფრანგეთისა და ინგლისისა თვით იმ სიტყვის განხილვასა და განსჯაში არიან, რომელიც ბისმარკმა წარმოსთქვა რეიხსტაგში. რუსეთის გაზეთებიც დღეს ამ სიტყვაზე ლაპარაკობენ.

ავსტრი-ვენგრია. გაზეთ «Matin»-ს სწერენ ვენიდამ: იმ ხელშეკრულობის დაბეჭდვამ, რომელიც იყო დადებული გერმანიასა და ავსტრიას შორის, ჯერ დიდი გული მისცა ავსტრიელებს, მაგრამ მერე-კი შეფიქრიანდნენ, კაი თუ მაგას ის მოჰყვეს, რომ საფრანგეთმა ხელი მეგობრობისა რუსეთს გაუწოდოსო. დიდი იმედი აქვთ ჯერ-ჯერობით იმისი, რომ პრეზიდენტი სადი-კარნო მშვიდობიანობის მოყვარე კაცია. ხოლო თუ საფრანგეთი და რუსეთი არ დაუკავშირდნენ ერთმანერთსაო, — ამბობენ ავსტრიის პოლიტიკოსები, — გაზაფხულამდე, ამ სამის თვის განმავლობაში დიდი სადიპლომატო ომი გაიმართებაო.

## წვრილი ამბები

— ამ დღეებში ვენაში ვიღაც ქ-ნი გელდერი შუაღამისას მიჰპარვია თავის ქმარსა ხანჯლით ხელში და რამდენჯერმე დაუკრავს თავში. ქმრის ყვირილზედ მეზობლები შეკრებილან, გაცოფებულ დედაკაცისათვის ხანჯალი წაურთმევიათ და პოლიციაში გაუგზავნიათ. როცა ქ-ნ გელდერისათვის უკითხავთ, რადა ჰკლავდი შენს ქმარსა, რას ერჩოდიო, უპასუხნია, რომ ჩემმა ქმარმა ძილში ხვრინვა იცოდა და როცა ის ჰხვრინავდა, მე ჩემი მემართებოდა, ძალიანა მძულდა ხოლმეო. ამ ახირებულის პასუხის გამო ქ-ნი გელდერი სულით ავადმყოფთა სამკურნალოში გაუგზავნიათ გასასინჯავად.

— ექიმ მაკენზისათვის, რომელმაც დიდი სახელი გაითქვა ამ ბოლოს დროს, რადგან გერმანიის მემკვიდრე პრინცსა სწამლობს, ეხლა მიუმართავთ შემდეგის წინადადებით: ამოდი ნიუ-იორკში სხვა ექიმებთან კონსულტაციისათვის ერთის ავადმყოფთან და შრომის ფასად 50,000 მანათამდე მოგცემთო. ჯერ მაგალითი არა ყოფილა, რომ ამოდენა ფული რომელსამე ექიმს მიეღოს. სერ გენრიხ ტომსონმა 1,000 მან. მიიღო, როდესაც ნაპოლეონ მე-III არჩენდა ინგლისში ავადმყოფობისაგან, ამდენივე მიიღო ერთხელ ექიმმა განმა ბერლინიდგან ლონდონში წასვლისათვის. ექიმს მაკენზის უარი უთქვამს ნიუ-იორკში წასვლაზედ, რადგან რომ წამოვიდე, მემკვიდრე პრინცის ავადმყოფობას ვეღარ ვადევნებ რიგიანად თვალსაო.

— ამას წინად ისპანიის მეჰიპნოტეს, სინიორ დასს, დედოფალ იზაბელასა და პრინცესათა წინაშე თავისი უნარი უჩვენებია. დასს დაუძინებია ქ-ნი მერსედეს მონტერო დე-ესპინოზა ჰიპნოტიზმის შემწეობით. შემდეგ დაძინებული ქალი მეორე ოთახში გაუყვანიათ და იქიდგან შეუცდომლად უთქვამს, ვის რა სჭერია იმ დროს ხელში, ვის რა ფიქრი ჰქონია, და სხვანი. მაყურებელნი ისე გაუტაცნია ჰიპნოტიზმს, რომ დედოფალსაც მოუწადინებია ჰიპნოტით დაძინება. სინიორ დასს აუსრულებია დედოფლის სურვილი და ისიც დაუძინებია.

---

დაგვინახავს და უფრო ახლო-კი ვიქნებით.

თომაზო და ალბერტო ჩაიდნენ რუსკენ და იმ ხეს მოეფარნენ, რომლის ქვეშაც უყვარდა ოცნება ტილდას. ბუნებითვე გულ-ღია თომაზოს ის სურვილიცა ჰქონდა, რომ მინდობოდა ვისმე და ყოველივე ეამბნა. და აი თომაზოც მოუყვა და აღარაფერი არ დაუმალა ალბერტოს. უამბო ისიც, რა ლაპარაკი ჰქონდათ იმასა და დიაბოლინას სწორედ ამ ალაგას ორის თვის წინად, მაშინ, როცა ის-ის იყო დაბრუნდა მილანიდამ. ალბერტო დიდის ხალისით ისმენდა თომაზოს ლაპარაკს. თან ამხნევებდა კიდეც, რომ ეგება უფრო დაწვრილებით მიამბოს ყოველივეო.

თომაზო ლაპარაკის ეშხში შევიდა, მაგრამ სწორედ ამ დროს გაისმა სასიამოვნო ხმა სიმღერისა. თომაზომ შესწყვიტა თავისი ლაპარაკი და გაკვირვებით უთხრა ალბერტოს:

— ყური დაუგდე, გაიგონე! ო, რა კარგად მოვიქეცით, რომ აქ მოვედით!

იმ მშვენიერს მთვარიანს ღამეში, როცა გარშემო ისეთი მყუდროება და დუმილი იყო, ტილდა საოცრად მღეროდა ოპერის არიას. ღმერთო, — ჰფიქრობდა ალბერტო, — ჩემს დღეში ჯერ ასეთი ხმა არ გამიგონია ქალისაო; ან თუ გამიგონია, ასე არ ჩამწვდომია გულში; რამდენჯერ მომისმენია ეს არია, მაგრამ ასეთის სულითა და გულით თქმული-კი ჯერ ჩემს ყურს არა სმენიაო. ეშხმა აიტაცა არტისტი ალბერტო, აღელვა და აათრთოლა იმისი ბუნება არტისტისა. თომაზოც გულით არტისტი იყო და ისიც გამოუთქმელმა აღტაცებამ შეიპყრო.

ტილდას სიმღერა შესწყდა და კვლავ მიწყნარდა არე-მარე. თომაზომა და ალბერტომ ერთმანერთს შეჰხედეს. ორივეს თვალებში ცრემლი მოჰრეოდათ ლმობიერებისა.

— ეგ ქალი ჭეშმარიტი გენიოსია! სთქვა გაკვირვებით ალბერტომ.

— დიახ, გენიოსია! გაიმეორა თომაზომ. აკი გეუბნებოდი, რომ არა გჯეროდა. ხომ დაინახე ახლა, რა გრძნობითა მღერის? მგონი თვით ველლინის სიზმარშიაც არ მოსჩვენებია მაგ ნაირი სიმღერა. წარმოიდგინე, რომ მეცა ვგრძნობ მაგის სიმღერის ეშხს, სიღრმესა და მეტყველებას, მაგრამ ვინ მომაქვავა მაგდენი მოხერხება. ჩემი უბედური ფლეიტა უღონოა, უძლურია მაგ ხმების აღმოსათქმელად...

თომაზო უეცრად ჩაჩუმდა. ახლა მოესმათ ხმა ფორტეპიანოსი დიაბოლინამ იმედიანად დაჰკრა ფორტეპიანოს თავისი პაწაწა თითები და სასიამოვნო საგალობელი ხმები შორს გაისმა და გაიფანტა ღამის მყუდროებაში. თომაზომ და ალბერტომ მაშინვე იცნეს, რა საგალობელი ხმებიც იყო. ალბერტოს სიამოვნებას საზღვარი არა ჰქონდა. თომაზოს გულში ეკლად მოხვდა, რომ იმისი მეგობარი ასე გადირია. ტილდამ დაუკრა ახლა ის ჰანგი, რომელსაც რამდენისამე საათის წინად თვით ალბერტო უკრავდა.

— თქვენ ერთმანერთს ძრიელ მოეწონეთ, — ნელის ხმითა სთქვა თომაზომ და მწუხარებით შეჰხედა თავის მეგობარს. — თქვენ ორივენი ნიჭით სავსე ბუნებისანი ხართ და თითქო იმიტომ გაჩენილხართ, რომ გესმოდეთ ერთმანერთის გულის პასუხი.

ეს აზრი უცბად დაებადა თომაზოს და ისე დაეწვა გული, რომ კინაღამ ტირილი არ მოუვიდა.

— მაგრამ შენ ხომ ლიზა გიყვარს? — განაგრძო თომაზომ და გამოართვა ხელი ალბერტოს. გულით გიყვარს ლიზა და მაშასადამე დიაბოლინაზე ვერას იფიქრებ, არ შეგიძლიან გული შეგიყვარდეს?

ალბერტო გაარისხა და გააცეცხლა ამ სიტყვებმა.

— რა გემართება? ჭკუაზედ ხომ არ იშლები? დიაღაც, მე მიყვარს ლიზა, მიყვარს გულ-წრფელად და არცა რა ვისა ვხედავ სხვას იმის ბადალსა...

თომაზო ისე შესცქეროდა ალბერტოს თვალებში, თითქო სიცოცხლეს იმისაგან მოელისო.

— იმედი მაქვს, იმდენად მენდობი, რომ ყოველს იჭვნეულობას განიშორებ თავიდამ. — განაგრძო თავმოწონებით ალბერტომ და ისე შეჰხედა, თითქო უნდა უთხრას, აბა ამაზე რაღას იტყვიო.

თომაზომ თავი ჩაჰღუნა და ისე ამოიოხრა, რომ გული თან ამოატანა:

— რა ვიცი! მე-კი ისე მგონია, რომ მაგისთანა ცალიც აღარ დაიარება ქვეყანაზედა-მეთქი.

— მერე, მე ხომ ჩამოსარჩობი ვიქმნებოდი, რომ ავყოლოდი მაგ ქალს, — გააწყვეტინა სიტყვა ალბერტომ თამაზოსა. არა, რა საფიქრებელია!? მე, რომელიც მოვედი აქ სულ სხვა ქალისათვის, დავინიშნე კიდეც ლიზა, ქალი ლამაზი, კეთილი, ტურფა და საროს ტანისა, განა დიაბოლინას დავუწყებ ტრფიალს, ისიც მხოლოდ იმიტომ-რომ იმისი ხმა მომეწონა და მუსიკის დაკვრა!? ეს ხომ სულ-მდაბლობა იქმნებოდა, სიგიჟე იქმნებოდა ჩემგან. არა, ეშმაკეული ძალა უნდა ჰქონოდა დიაბოლინას რომ აგრე გავეგიჟებინე, ძალა ეშმაკისა და ქაჯისა, რომელსაც კაცი ვერსად წაუვა და ვერსად ვერ გაექცევა.

ალბერტომ ხმა გამოიცვალა და სიცილი დაიწყო.

— არა, მოტრფიალეებს ჰგონიათ, რომ ჩემი სატრფო ციდამ ჩამოსული ანგელოზია და უთუოდ ყველას გადაჰრევს, თვალს აუბამს იმისი გამოუთქმელი მშვენებაო. ვაი თუ გეწყინოს კიდეც, ჩემო კეთილო თომაზო, მაგრამ მაინც-კი გეტყვი, რომ შენს ანგელოზსაცა აქვს წუნი და ისე არა ბჭყვრიალებს, რომ თვალსა სჭრიდეს და აბრმავებდეს ყველასა...

თომაზომ არა უპასუხა-რა. მხოლოდ თავი ჩაჰღუნა და ერთხელ კიდევ ამოიოხრა.

დიაბოლინა კვლავ მუსიკას უკრავდა და ფორტეპიანოს ხმა კვლავ სავსე იყო ვნებითა, სინაზითა...

ალბერტომ მიაცილა თავისი მეგობარი სახლამდე და თვითონ მარტო დაბრუნდა უკან. როცა მოუახლოვდა სინიორ პასკვალეს სახლს, უნებურად გაჩერდა. ის ფანჯარა, რომელიც წეღან ღია იყო, ეხლა მოეხურათ. ფარდები ჩამოშვებული იყო და სინათლე მოსჩანდა. ალბერტო პატარა ხანს უცქეროდა ამ სინათლეს. «რას აკეთებს ნეტა, რას ჰფიქრობს ახლა ის ქალი?» — წარმოსთქვა ჩუმად ალბერტომ. იმისი გონება იმ ოთახს დასტრიალებდა ეხლა, საცა დიაბოლინა ეგულებოდა, თითქო რაღაცა საიდუმლო უნდა განსჭვრიტოს და შეიტყოსო. პატარა ხანს უკან თავი გააქნია და დიდს საგონებელში ჩავარდნილი მოშორდა ფანჯარას.

გრ. ყ—ძე

(შემდეგი იქნება)

— ლონდონიდგან შეიძლება პარიჟში მიბრძანდეთ 8½ საათის განმავლობაში! ამისთანა განცხადება გაუკრავთ ამას წინად სამხრეთ-დასავლეთის ლონდონ-ჩატამისა და დუვრის რკინის გზის სადგურებზედ. ეს განცხადება მართლაც რომ მისაზიდავია, რადგან აქამდე 10 საათს უნდებოდნენ ლონდონიდგან პარიჟში წასვლისათვის. ამ ახალ და ჩქარ მოსიარულე მატარებლისათვის სახელიც დაურქმევიათ: «კლუბის მატარებელი». აი რა მოსაზრებით დაურქმევიათ ასეთი ახირებული სახელი. წარმოიდგინეთ, წევრი პარიჟის ან ლონდონის რომელიმე კლუბისა ნაშუადღევის სამს საათზედ ჰზის რბილს სავარძელში და სიგარას აბოლებს. ჯერ გადაწყვეტილი არა აქვს, თუ როგორ უნდა გაატაროს თავისუფალი დრო, თუმცა ფიქრში-კი გაურბენს და გაუვლის ხოლმე ინგლისის (ან საფრანგეთის) სატახტო ქალაქში გასრიალება. აგერ ნახევარ საათმაც გაიარა და წევრმა გარდასწყვიტა კიდეც გასრიალება რკინის გზით სადმე. დეპეშით, ან ტელეფონის საშუალებით შეუტყვიათ, რომ კლუბის მატარებელზედ ბილეთი ამიღეთო, მიდის რკინის გზის სადგურზედ და ოთხს საათზედ უკვე არხეინად მოხოხორიკებულია მშვენივრად მოწყობილსა და მორთულს ვაგონში. საღამოს შვიდს საათზე მგზავრნი ლამაზად სადილს მიირთმევენ ვაგონში, სადილს შემდეგ სურვილისამებრ ან თუთუნს აბოლებენ, ან ქრთამნერთს ბანქოს ეთამაშებიან. შემდეგ ტანისამოსს იცვლიან და თერთმეტიდგან სულ თხუთმეტი წუთია გადასული, რომ პარიჟში მივლენ კიდეც. ისე ადრე მივლენ, რომ კიდევ დრო აქვთ სასტუმროში შეიარონ, ბულვრებზე ისეირნონ და ან კლუბში შევიდნენ სადმე. შემდეგ გამოიძინებს კარგა, დილით ადგება, თავის საჭირო საქმეებს გაარიგებს, შუადღისას დასაუზმდება, ბოლოსასა ჰკრავს ქალაქის ქუჩებში, ჩაჯდება ისევ კლუბის მატარებელში და შუაღამისას თავის სახლშივე მივა დაუღალავი, დაუქანცავი. ჯერჯერობით კლუბის მატარებელში სულ ას ოცი კაცი მოთავსდება თურმე, ისეა გაკეთებული. საფრანგეთის ჩრდილოეთის რკინის გზა პატარას რომ არა ზარმაცობდეს, პარიჟიდგან ლონდონში თავის მგზავრებს სულ ექვსის საათის განმავლობაში მიიყვანდა.

— აი მშვენიერი მასალა რომანისათვის. 1883 წელს ახალგაზდა ქალს პარიჟში შეჰყვარებია ერთი ყმაწვილი კაცი, თავისავით კეთილშობილის შთამომავლობისა და შეძლებულის ოჯახის შვილი. არავინ იცის, რა მიზეზით, და ქალის მშობლები-კი წინააღმდეგნი ყოფილან ახალგაზდათა შეუღლებაზე. ახალგაზდა ქალს უთუოდ თავის სიტყვის გატანა სდომებია და უფიქრნია: როცა დედა გავხდები, მაშინ მშობლები უარს ველარ გამიბედვენო. მშობლები-კი, ქალის ფეხ-მძიმობა რომ შეუტყვიათ, სულ სხვა გზას დასდგომიან. ახალგაზდა ქალი რადაცა მიზეზით გაუგზავნიათ ბრეტანში, ნანტის სამკურნალოში. აქ ყმაწვილი ქალი დაუწვენიათ დიდის საიდუმლოებით, ვაჟი ჰყოლია და ყმაწვილიც მაშინვე წაურთმევიათ დედისათვის ისე, რომ თავის შვილის კოცნაც-კი ვერ მოუსწრია. ბოლოს უთქვამთ ყმაწვილის ქალისათვის, რომ ყმაწვილი გარდაიცვალაო, მაგრამ იმას არ ურწმენია ეს სიტყვები. ამასობაში ყმაწვილი წამოზრდილა და იმასაც თავისის მშობლების მეზნა დაუწყია. დედას შეუტყვია ბოლოს, თუ რა ერქვა იმის შვილსა, მაშინვე პოლიციისათვის შეუტყობინებია და სულ ათს წუთს არ გაუვლია, რომ უპოვნიათ კიდეც ყმაწვილი კაცი. ეს ყმაწვილი კაცი ოც-და-თოთხმეტის წლისა ყოფილა, დაცოლშვილებული და მამა ორის ვაჟისა.

## გასართობი

მეტად ძნელი გადასაწყვეტი საქმე ჩაჰვარდნია ხელში პეშტის სამოქალაქო სასამართლოს, რომელიც ამ დღეებში უნდა გაარჩიოს. აი ეს საქმე: ერთს პეშტის იჯარადარს ფული შესატანი ჰქონია გირაოდ, რადგან დიდი იჯარა აუღია მთავრობისაგან. ერთს ბანკის პატრონს მოჰრიგებია, ცოტაოდე სარგებლობას დაჰპირებია და 25 მომგები ბილეთი გამოურთმევია; ამასთანავე სიტყვა მიუცია, რომ იჯარის საქმეს მოვრჩები თუ არა, შენს 25 მომგებს ბილეთს უკანვე დაგიბრუნებო. რამდენისამე დღის შემდეგ ბანკის პატრონი მივიდა და იჯარადარს თავის ბილეთებითგან ათი ბილეთი უკანვე სთხოვა: ერთის საქმისათვის დამჭირდა და უთუოდ უნდა მიშოვნო როგორმე ათი მომგები ბილეთიო. რადგან ბილეთები გირაოდ იყო შეტანილი, საერთო თანხმობით გარდასწყვიტეს თურმე, რომ იჯარადარს ათი მომგები ბილეთი უნდა ეყიდნა ბირჟაზედ და მიეცა ბანკის პატრონისათვის. მოჰრიგდნენ და ასევე მოიქცნენ. ამის შემდეგ იმ 25 მომგებს ბილეთში 15 ბანკის პატრონს უნდა დაჰბრუნებოდა და 10-კი იჯარადარს დარჩენიყო, რადგან იმის სამაგიერო სხვა მისცა. უეცრად ერთმა ამ 25 ბილეთთაგანმა 50,000 მან. ფული მოიგო თურმე და მეიჯარადრესა და ბანკის პატრონს შუა ერთი აყალმაყალი ასტყდა, ორივენი ცილობენ: არა, მე უნდა მერგოს ეგ მოგებული და არა, მეო. აი, ეხლა სასამართლოს აქვს ეს საქმე მინდობილი და იმის გარდაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, თუ ვის აკუთვნებს ამ ფულსა. პეშტში დიდის ინტერესით ადევნებენ ამ საქმეს თვალ-ყურს და მოუთმენლად ელიან თურმე ახალს სოლომონს ბრძენსა, რომ გაჰხსნას ეს ძნელი ნასკვი.

**

ჩინეთშიაც გამოჩენილა ბრძენი მოსამართლე. აი რაში გამოუჩენია ამ მოსამართლეს თავისი სიბრძნე. ორი გლეხი სახელმწიფო ტყეში შეპარულა და ნადირობა დაუწყიათ; ამ ბრალის დამამტკიცებელ საბუთად სასამართლოში წარდგენილი ყოფილა ორი თოფი, რომელიც გლეხებს გაუყრიათ ხელიდგან, რაკი უნახავთ, რომ ტყის მცველებმა დაგვინახეს და უკან მოგვდევენო. ბრალდებულთ თავიანთი თავი დამნაშავედ არ ჩაუთვლიათ და თოფებზედაც სრული უარი გამოუცხადებიათ, ჩვენ არ გვეკუთვნისო. დამნაშავობის დამამტკიცებელ საბუთების სიცოტავისა გამო მოსამართლეს ბრალდებულნი გაუმართლებია, ხოლო შემდეგ გულ-გრილად უთქვამს:

— აბა, ეხლა-კი თქვენი თოფები აიღეთ და მომშორდით თავიდგანაო.

გულ-უბრყვილო გლეხებს მაშინვე წამოუვლიათ თოფებისათვის ხელი, ხოლო მოსამართლეს განთავისუფლების მაგიერ ციხეში გაუგზავნია გლეხები და სასტიკი სასჯელი მიუსაჯნია.

## დეპეშა

3 თებერვალი

**სტამბოლი.** სუეზის არხის კონვენციის გამო უთანხმოებამ გააძნელა ინგლისისა და საფრანგეთის ურთიერთობა ოსმალეთთან.

**ვენა.** გაზ. «Korrespondence de l'Est»-ში დაბეჭდილია წერილი ბერლინიდამ. ამ წერილში ნათქვამია შემდეგი: «ომიანობის შიში თავიდგან ავიცილეთ და ახლა გამუდმებულს სადიპლომატო განსაცდელში ჩავცვივდითო. ყოველივე ესე უნდა მიეწეროს ბისმარკს, რომელმაც საქვეყნოდ აღიარა, რომ რუსეთს განზრახვა აქვს ყოველივე თავისი წადილი შეასრულოს უომრად, რომ ბერლინი უფრო ახლოა პეტერბურგზე, ვინემ პარიჟი; ავსტრიას ბოლგარიის საქმის თაობაზე არ უნდა ჰქონდეს გერმანიის იმედი, თუ განზრახვა აქვს ხმლით გარდასწყვიტოს იგი საქმეო. ბისმარკის აზრით, ომი არავისათვის სასურველი არ არის და მაშასადამე საჭიროა მოლაპარაკება; მორიგება მოსახერხებელია, თუ რომ რუსეთი იტყვის, რა სწადიან და ავსტრია გამოსტყდება, რის დათმობა შეუძლიან. როგორც სჩანს, ასეთია ის მავთული, რომელსაც უნდა გაჰყვეს ამ ახლო კვირებში საქმეთა მსვლელობა.

4 თებერვალი

**პეტერბურგი.** პეტერბურგიდამ სწერენ დეპეშით «Моск. Вѣдом.»-ს, რომ ფინანსთა მინისტრმა მიიღო მოსკოვიდამ მოსული დეპუტატები ბამბეულ საქონლის თაობაზე და გამოუცხადა, რომ ფიქრადაც არ მომსვლია ტარიფი შემეცვალა ბამბეულ საქონელზეო. საბაჟო ტარიფი რუსეთში საზოგადოდ მფარველი უნდა იყოს ჩვენის წარმოებისათვისაო.

ის კრება, რომელიც დიდის ყოფით შესდგება ხოლმე ყოველ წელს უნივერსიტეტში თებერვლის რვას, წლეულს არ იქნება.

პეტროვსკო-რაზუმოვსკის სამეურნეო აკადემიის დირექტორი აცხადებს, რომ ტყუილია ის გავრცელებული ხმა, ვითომ აკადემია გაუქმებულიყოსო; არავითარი საბუთიც-კი არა გვქონია, რომ არა-ჩვეულებრივი რამ ღონისძიება მიგველოვო.

«Гражданинъ»-ი იუწყება, რომ ახალის წესისამებრ ბირჟისა და გემების მაკლერები უნდა ამოირჩიონ ხოლმე პეტერბურგსა, მოსკოვსა, ოდესასა, რიგსა, ლიბავასა და სხვა სანავთ-სადგურო ქალაქებში ადგილობრივმა ბირჟის ვაჭრებმაო. უნდა ამოარჩიონ იმდენი, რამდენსაც ფინანსთა სამინისტრო გარდასწყვეტს. ახალის წესების გამოცემის შემდეგ შემოღებულ იქმნება ახალი წიგნებიცა. ამ ახალს წიგნებს ყოველ თთვე და თთვე შეამოწმებს საფინანსო გამგეობის მოხელე. საზოგადოდ წესსა და რიგში მოყვანილი იქმნება საქმის წარმოება ჩვენის ბირჟებისაო.

პეტერბურგის ბირჟა 29 იანვარი.

| | მყიდველნი. | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთმანათიანი ოქრო . | — ,, | — ,, | 9 32 |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | — ,, | 186¾ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . . . | — ,, | — ,, | 1 35 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — ,, | — ,, | 264¼ |
| — მეორისა. . . . . | — ,, | — ,, | 247 |
| გირავნობ. ფურცელნი | | | |
| ტფილისის ბანკისა . | — ,, | 99 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | 99 | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე 14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.

თებერვალი 29 დღით არის

5 დღე პარასკევი. წამება აღაფიასი. კათოლ. წმ. აგატასი. სომეხ. მარხვაა. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მუსულ. მე-4 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 6—52, ჩადის 5—36. მთვარე 6 დღისაა.

6 დღე შაბათი. წმ. ვუკოლასი, წამება იულიანისა. კათოლ. დოროტეოსისა და ბალდანისა. სომეხ. წმ. გრიგოლ განმანათლებელის შვილთა და შვილიშვილთა. მუს. მე-5 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 6—50, ჩადის 5—37. მთვარე 7 დღისაა.

7 დღე კვირა. ღირსისა პართენისა და ლუკასი. კათოლ. კლოტილდასი. სომეხ. წამება სუკიასიანცისა. მუსულ. მე-6 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 6—49, ჩადის 5—38. მთვარე 8 დღისაა.

8 დღე ორშაბათი. წამ. დიდ. თეოდორე სტრატილატისა, ზაქარიასი. კათოლ. ლუციასი და პავლესი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-7 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—48, ჩადის 5—39. მთვარე 9 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 თებერვლიდამ 1 მარტამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა . . 3 »
» 2 » 2½ »
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 »
» » 2— 3½ »
» » 3 » 3 »
ჯვარის მამის პურის ლავაში »
1-ლის ხარისხისა . . 5 »
მე-2 ხარისხისა . . 4 »
მე-3 — . . . » »
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 9 »
სუკი . . . . 14 »
ძროხის ხორცი . . . 8 »
» 2 » 7 »
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. 8 »
» 2 » 7 »

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით—დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## განცხადებანი

**კავკასიის პირველი ფაბრიკა ხეზე-წასასმელ ლაქისა, საბეჭდავ ლუქისა და პოლიტურისა.**

გვაქვს პატივი ვაცნობოთ ბ-ნს ვაჭრებს და მხმარებლებს ლაქისას, ლუქისას და პოლიტურისას, რომ ჩვენს ფაბრიკას აქვს ყოველ გვარის ღირსებისა და სიკეთის საქონელი, რომელიც არც ერთის სხვა ამ გვარ ფაბრიკის საქონელს არ ჩამორჩება. ფასი ზომიერია. ფაბრიკა მუშტარს დაუყოვნებლივ აკმაყოფილებს. თუ მუშტარს შორს სადმე ეგზავნება საქონელი, ფაბრიკა დიდის სიფრთხილით შეახვევს ნაყიდ საქონელს გასაგზავნად თვით მეფაბრიკეს ხელ-მძღვანელობით.

დაწვრილებით ჩვენის საქონლის შესახები ცნობანი მოხსენებულია პრეისკურანტში, რომელიც უსასყიდლოდ ურიგდება და ეგზავნება მსურველთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებელის მუშტრის სურვილს ფაბრიკა დაუყოვნებლივ და დიდის გულ-მოდგინებით ასრულებს.

ადრესი ტფილისის გარეშე მცხოვრებელთათვის:

ТИФЛИСЪ.
Первая Кавказская лаковая, сургучная и политурная фабрика. *Елизаветинская ул., домъ Читахова, № 25.* (20—15)

ნამდვილი საუნჯეა
ყველასათვის განთქმული წიგნი
**თავის მოვლა**
თხზ. დ—რის რეტაუსი
რუსულად გამოცემული 3-ის სურათით
ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეის წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlags-Magazin in Leipzig. (50—1)

სტოლონაჩალნიკი საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორისა, ილია მოსეს ძე კიგნაძე, გულითადის მწუხარებით აცნობებს ნათესავთა და მახლობელთ გარდაცვალებას თავის დის სირინოზისას და სთხოვს მობრძანდნენ 5-ს თებერვალს, დილის ცხრა საათზედ, მუხრანსკის სახლში, მუხრანიანთ ხიდზედ, საიდამაც მიცვალებულს წაასვენებენ ანჩისხატის სობოროში და აქ წირვას გადაუხდიან. (2—2)